წ ფონემის სემანტიკური განდასება

ავტორი: **როინ ჭიკაძე**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1

ელფოსტა: roinchikadze@gmail.com

ანოტაცია

სასაუბრო ენაში ცხადად იკვეთება წ ფონემის სემანტიკური განდასება, სადაც მრავალფეროვანია ამ ფონემის შემცველი ლექსიკური ფონდი. ამ ფონდში ნათლად ვლინდება სიტყვის მნიშვნელობისა და წ ბგერის ორგანული კავშირი. ამ მხრივ უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი მასალაა დაუნჯებული ქართული ენის დიალექტებში. სტატიაში წარმოდგენილია ქართული ენის სხვადასხვა დიალექტში განდასებულ წ ფონემის შემცველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფები: ყოველგვარი სითხის აღსანიშნავი სიტყვები, საგნის სიმცირე - სიპატარავის გამომხატველი, წვრილი საგნების სახელდებანი, სიწვრილის გამომხატველი ლექსიკა და სხვ.

შესავალი

სასაუბრო ენაში ცხადად იკვეთება წ ფონემის სემანტიკური განდასება, სადაც მრავალფეროვანია ამ ფონემის შემცველი ლექსიკური ფონდი. ამ ფონდში ნათლად ვლინდება სიტყვის მნიშვნელობისა და წ ბგერის ორგანული კავშირი. ამ მხრივ უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი მასალაა დაუნჯებული ქართული ენის დიალექტებში. იმთავითვე აღსანიშნავია, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: „ამ სახის კვლევა-აღდგენა იმდენადვე ძნელი და სახიფათოა, რამდენადაც მიმზიდველი და საგულისხმო“ (ჩიქობავა 1946: 64). ამიტომაცაა, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდაა შესწავლილი წ ბგერის სემანტიკურ-სახელდებითი ველი.

ძირითადი ნაწილი

სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად წარმოვადგენთ ქართული ენის დიალექტებში განდასებულ წ ფონემის შემცველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს:

ყოველგვარი ს ი თ ხ ი ს აღსანიშნავად ფშაურში გვაქვს **წყლეული**, ხოლო წ უ მ პ ე ს ი – **წუნწუხო**; მ ა რ ი ლ წ ყ ა ლ ი ს სახელდება კახურში, ფშაურში, თუშურში... არის **წაკი/წაკა**, ხოლო ქართლურსა და რაჭულში – **წათხი**, რომელიც ლეჩხუმურში **წყუთეა**; გურულში **წაქი** არის შ რ ა ტ ი, ხოლო შრატის მოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე - **წუქი**; ამავე დიალექტის მიხედვით **წურუქი/წურუკა** ნადუღის გადანაწური სითხეა; ტყემლის წ ვ ე ნ ი ს მნიშვნელობისაა **წო** (აჭარ., იმერ., ლეჩხ.), **წონ** (ინგილ.), **წოიო** (გურ), **წუა** (ფშ); **წოწონაქი** (ქიზიყ.) კი ტყემლის შეჭამადია.

გაწყალებული ჩირქის სახელად გვაქვს **წალა** (ქიზიყ.), **წარალი** (ლეჩხ.), **წბოლი** (ქართლ. იმერ. რაჭ.).

სხვადასხვა დიალექტში წ ვ ე თ ი ს შესატყვისი სახელებია: **წინწკალი** (კახ.), **წუნწკალი** (ქართლ.), **წკინტოლი** ((ფშ.), **წკუმპლი** (მესხ.), **წირტაი** (ხევს.).

საგნის ს ი მ ც ი რ ე - ს ი პ ა ტ ა რ ა ვ ი ს გამომხატველია ქიზიყური **წიკლა, წიკლისტო, წიწკნა**; მცირე ზომის ჭურჭელია **წუკატა** (გურ.), **წუმწუბა** (იმერ.), **წიწინაყი** (თუშ.), **წიწანა** (ქართლ., მოხ.); თმისა და წვერის საგლეჯი პატარა ხელსაწყო ფშაურად არის **წუბწკალი/წეპწკალი.**

წიწილი (ქართლ.) მოუხნავი პატარა ნაკვეთია, ანდა პატარა, ნორჩი სანერგე მცენარე (ლეჩხ.). **წიაპა** (ფშ.) არის წ ი წ ი ლ ა; **წალი** ნ უ კ რ ი ს საერთო სახელია ხევსურულში, მოხეურში, თუშურსა და ქიზიყურში; სამაგიეროდ პატარა ჩ ი ტ ი სხვადასხვა სახელით გვხვდება: **წუხ**ა (ფშ.), **წიორა** (ქიზიყ.), **წიპრანა** (ქართლ.), **წინტილა** (ინგილ.); პატარა წ ყ ა რ ო ს ჰქვია **წინწკილა** (იმერ.), პატარა ზ ვ ი ნ ს - **წერილა** (ხევს.), პატარა ნ ა კ ვ ე რ ჩ ხ ა ლ ს - **წივი** (მოხ., მთიულ.), ნ ა პ ე რ წ კ ა ლ ს - **წინწკლი** (ფშ.)/**წინწკელი** (ფშ.), ხოლო პატარა ხ ე ლ ე უ რ ს - **წკიპარტი** (ქართლ.).

წკიპარტი ვრცლადა აქვს განმარტებული გიორგი შატბერაშვილს „თვალადური ქართულის ჭაშნიკში“, ხოლო თავისივე სიტყვის სალაროს - მამალხინეს - დაბეჯითებით ამეორებინებს ამ სიტყვას, რათა მკითხველის ცნობიერებაში აღებეჭდოს ნამგლის ერთი მოსმით გამომკილი პატარა ხ ე ლ ე უ რ ი ს სახელწოდება - **წკიპარტი**.

ქართული ენის დიალექტებში განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა წ ვ რ ი ლ ი საგნების სახელდებანი. ყველანაირი წვრილი საგნის სახელწოდებაა **წვნიკი** (ქართლ., კახ., ქიზიყ.), ხოლო წვრილი მცენარეულისა – **წრიოკი**; **წმორი** (ქსნის ხეობა) ჭაობის ბალახია. კახურში, ქიზიყურში, ფშაურსა და თუშურში წვრილი ტყის სახელდებაა **წარაფი,** წვრილი ბუჩქნარისა – **წრუღუან** (ინგილ.). გრძელი და წვრილი უტოტო ხე არის **წურწუტი** (ფშ.) ან **წიპლანკი** (ინგილ.); ხის წვრილი ტოტები – **წიფხი** (ქიზიყ., ინგილ.), **წიწკარი** (ფშ.). წვრილი ფიჩხის სახელწოდებანია: **წკვიმლი** (კახ.), **წკვრიმალი** (ქიზიყ.), **წკიმლი** (კახ.), **წკიმალ-წკუმალი** (კახ.), **წკერი** (ფშ.), **წოწკი** (ფშ.).

სიწვრილის მნიშვნელობისაა ადამიანის ორგანოების შესატყვისი ლექსიკა: **წიბო** (გურ., აჭარ., ჯავახ.) – ნ ე კ ნ ი; **წლიკვნი/ წლიკუანი** (ფშ.) კ ა ნ ჭ ე ბ ი; **წენწული** (აჭარ.) - ნაწლავი; **წუწი** (მთიულ.) - წ ი რ პ ლ ი; ტანზე გამონაყარი წვრილი მ უ წ უ კ ე ბ ი ქართლურში **წრიაპაა,** მთიულურში კი **წრიაკი.**

წვრილი და მაღალი კაცი აჭარულში მოიხსენიება როგორც **წლონი** ანდა **წიოყი;** ფშაური **წლოკი/წლოკვი** - გველის წიწილაა, რომლის სინონიმებია: **წრიტი** (ლეჩხ.) და **წუწულა** (ქსნის ხეობა). მოხეურსა და მთიულურში წვრილად და მტკიცედ დაგრეხილი ძაფის სახელია **წრანკი/წრანკე**.

წვრილ ნ ა მ ც ე ც ე ბ ს თუშები უწოდებენ **წიკუი**-ს, გურულები წვრილ ლობიოს – **წილობიე**-ს; წიფლის წვრილი ნაყოფი ლეჩხუმურში არის **წიპწიპო,** ხოლო ქართლურში – **წიფი;** რაჭულში **წუთული** ურთხმელის თესლია.

წაწვეტებულ-წამახვილებულ საგანთა სახელებშიც **წ** ფონემა დომინირებს; **წკვერტი** (გურ., იმერ., მოხ., ქიზიყ.) – წ ვ ე რ ი, წ ვ ე რ ო; **წვიტი** (გურ., აჭარ.) – წაწვიტული; **წინწკაპური** (აჭარ.) და **წინწიბურო** (გურ.) – ხის კენწერო; **წოპი** (ფშ.) წოწოლა ქუდია, **წაკატი** (აჭარ., გურ.) – წვეტიანი წ ე რ ა ქ ვ ი.

წ ფონემის შუასართული პოზიცია:

კოწმახი (მესხ.), **კოწარახი** (ხევს.), **კვაწარახი** (იმერ. გურ.) **კოწლისა** (ხევს.)

საკმაოდ მრავალია საგნის ს ი მ ც ი რ ი ს აღსანიშნავი სახელები: **პაწა, პაწე** (იმერ., გურ.); **პაწაი/პინწაი** (ინგილ.); **ბეწო** (მოხ.); **ბეწიკუა** (ხევს.); **პაწკი** (ქიზიყ.); **პუწკი** (გურულ.); **მაწკო** (ქიზიყ.) და **კვაწილა** (რაჭ.) ჩვილის სახელია, **კვაწინიე** კი - ინდაურის ჭუკისა; პატარა ქვაბის სახელია **ერაწი** (ხევს.), **ერაწაუ/ერაწუნაყი** (თუშ.); **არაწი** (ინგილ.) პატარა ღვინის ჭურჭელია, **კვაწიანა** - პატარა ქოთანი; **კიწი** (კახ., ქიზიყ.) ყურძნის კუფხალია, **კიწილა** (ქიზიყ.) - პატარა ქილა, **კოწაი** (მთიულ.) - მომცრო ჯამი; პატარა რუ არის **კაწარა** (ქართლ.), ხოლო პატარა დაბალი ღობე - **კაწანი** (ინგილ.).

არანაკლები ინტენსივობისაა საგნის ს ი წ ვ რ ი ლ ი ს გამომხატველი სახელდებანი. ყურადღებას იქცევს ისეთი მაგალითი, როდესაც ერთი და იგივე სახელი თითქმის ყველა დიალექტში გვხვდება ს ი წ ვ რ ი ლ ი ს მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა საგნის სახელად: **ბაწარი** მ ა ტ ყ ლ ი ს ძ ა ფ ი ა თუშურში, ფშაურში, ქიზიყურში, ჯავახურსა და ინგილოურში; იგივე სახელი - **ბაწარი** - ხევსურულში თ ა ს მ ა ა, რაჭულში, იმერულსა და გუდამაყრულში – წ ვ რ ი ლ ი თ ო კ ი, ხოლო აჭარულში - ბ ი ლ ი კ ი; ღობეზე სავლელ ბ ი ლ ი კ ს კი ინგილოურში ჰქვია კაწ; წ ვ რ ი ლ ი ფ ი ჩ ხ ი ს აღსანიშნავად დიალექტები გვთავაზობენ მრავალფეროვან სახელდებას: **პიწკი** (გურ.), **კიწვი** (იმერ.), **კიწაწი** (ლეჩხ.), **კეწკარა** (მთიულ), **კეწერი** (ქართლ.), **კუწუწა** (კახ.), **კუწკუწა** (ქიზიყ), **წოწკი** ფშ.).

ამასთანავე ს ი წ ვ რ ი ლ ი თ ხასიათდება: **ბუწკნარი** (ქართლ., ქიზიყ.) – ჩ ი რ გ ვ ნ ა რ ი, **კეწეწა** (მთიულ.) – წვრილი ბალახეული, **კუწეწი** (ქართლ.) – ლობიოს ჩენჩო, **კონწილა** (აჭარ.) – წვრილად დაჭრილი თამბაქო, **კოწოლი** (თუშ.) – თმის ნაწნავი, **კოწოლა** (ქიზიყ.) – აწოწილი, **ბოწი** (ინგილ.) – ბეწვი, თმა, **ბუწი** (მთიულ.) –გამხდარი, გალეული საქონელი.

წამახვილებულ საგანთა სახელდებანია: **ანწუხი** იმერულში წ ვ ე ტ ი ა ნ ი სარია; **კინწრიხო** მოხეურში მთის წვერია, ხოლო ქსნის ხეობაში - ხის კ ე ნ წ ე რ ო; ქიზიყურში კი ხის კ ე ნ წ ე რ ო ს ჰქვია **კინწერი.**

ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი აქვს სხვადასხვა საგანს სხვადასხვა დიალექტში; მაგალითად, **კირწლი** იმერულსა და რაჭულში არის წ ი რ პ ლ ი, მთიულურში - ჩეჩვის დროს საჩეჩელზე დარჩენილი მ ა ტ ყ ლ ი, ქართლურში - ძაფის წერტილოვანი ნ ა ყ ა რ ი ქსოვილზე.

დასკვნა

ამრიგად, ქართული ენის დიალექტების საილუსტრაციო მაგალითებითაც გამოვლინდა **წ** ფონემის სემანტიკური განდასება. გამოიყო მისი შემცველ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფები: ყოველგვარი სითხის აღსანიშნავი სიტყვები, საგნის სიმცირე - სიპატარავის გამომხატველი, წვრილი საგნების სახელდებანი, სიწვრილის გამომხატველი ლექსიკა და სხვ.